## მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი (ტელეფონით).

გუშინ აქ შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი პირველი ათეულის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი "პახტაკორი" და თბილისის "დინამო".

შეხვედრა დაიწყო მასპინძელთა მძლავრი იერიშებით. შუა ტაიმში თბილისელებმა თამაში გაათანაბრეს და უპირატესობაც კი მოიპოვეს. 45 წუთი ისე გავიდა, რომ მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ანგარიშის გახსნა.

მეორე ტაიმი არ ჰგავდა პირველს. დინამოელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და იგი თამაშის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ. ჯერ კალოევმა, შემდეგ მესხმა, იამანიძემ და დათუნაშვილმა ოთხი ბურთი გაიტანეს "პახტაკორის" კარში. თითქოს მატჩი ამ ანგარიშით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ "პახტაკორის" ერთ-ერთი ეპიზოდური შეტევა კრასნიცკიმ დინამოელთა კარის აღებით დაამთავრა.

გაიმარჯვა თბილისის "დინამომ" ანგარიშით 4:1.

**"ლელო", 16 სექტემბერი, 1961 წ.**